სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. წელიწადი პირველი. ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას!

ხუთშაბათი, 5 სექტემბერი 1918 წ.

ბრძოლა

№ 21

გაზეთის ფასი 40 კაპ.

ჰეტროგრადში ბოლშევიკებმა დაიკავეს ინგლისელების საელჩო. ლენინის მდგომარეობა სერიოზულია.

ორგანო საქართველოში მოქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

გაზეთის ფასი: ერთი თვით **9 მან.** ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлисъ. Контора Газ. „Шрома", Чавчавадзевская ул. Софійская школа.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.

რედაქციის მისამართი: *Тифлисъ Редакція газ. „Шрома" Чавчавадзовская ул. Софійская школа.*

მიიღება ხალის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ

„შრომა"-ზე

გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანეთი.

მისამართი: ტფილისი, ჰავჰავაძის ქუჩა № 4 გაზეთ „შრომის" კანტორა.

სახალხო განათლების სამინისტროს ნებართვით გაიხსნა პირველი ქართული **ბუხჰალტერიის კურსები** ორივე სქესთათვის, წლოვანების გათვალისწინებით

ალ. გ. საათაშვილისა

ორმაგი ბუხჰალტერია და სხვა საგნები სრული პროგრამით. სწავლა დაიწყება 5 სექტემბერს. პირობის გაგება შეიძლება დილის 10-დან 12 საათამდე, საღამოთი 5-დან 6 საათამდე. მისამართი თფილისი, დუშეთის ქუჩა, სახლი № 9 (1-ლი სამილიციო უბანი). (2—1).

ექიმი ი. კ. აგაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე.

ბეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86

ქ. თბილისი, 5 სექტემბერი.

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიურ-ფინანსიური რესურსები მეტად განსაზღვრულია. ჩვენს ხაზინას არ ძალუძს უხვად დააკმაყოფილოს ისეთი სახელმწიფოებრივი ცხოვრების ფართო ფინანსიური მოთხოვნილებანი. მომენტის პირობები, და საერთაშორისო მდგომარეობა მას აიძულებს თავისი ეკონომიურ-ფინანსიური ენერგიის უდიდესი ნაწილი რესპუბლიკისა და ერის ფიზიკური არსებობის უზრუნველსაყოფად მოახმაროს. ამ ნაირად ერის კულტურული აღორძინების საქმე მეორე რიგზე ისმება.

რესპუბლიკას არ ყოფნის სახსარი, რომ ერის კულტურული წყურვილი სავსებით დააკმაყოფილოს. საჭიროა ფართო საზოგადოებრივი ინიციატივა, საჭიროა ქერძო პირთა და საზოგადოებათა მხურვალე მონაწილეობა კულტურულ მოთხოვნილებათათვის სახსრის შექმნა გამონახვაში. უამისოთ ვერ გაიფურჩქნება ჩვენი მეცნიერება და ხელოვნება.

ჩვენ ორი ტაძარი გვაქვს—უნივერსიტეტი და თეატრი—ესენი ორივე ღარიბია. რომ მშრომელი ხალხის ბედნიერებას ჩაუყაროთ მტკიცე საფუძველი, რომ მისი ცხოვრება წარვმართოთ ახალი გეზით, საჭიროა საღი აზროვნება და სპეტაკი გრძნობა, ეს კი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც მეცნიერების და ხელოვნების ტაძარი—უნივერსიტეტი და თეატრი—მეცნიერული ძალებით და ნივთიერი საშუალებით უზრუნველყოფილია. ხუთი მილიონიანი ლატარია, რომლის შესახებ გაზეთებში უკვე იყო მოწოდება, ერთ ერთი წყაროთაგანია ზემოთ აღნიშნულ მიზნისათვის. და ვისაც სურს ერის საშინელ მტერს—სიბნელეს შეებრძოლოს, ვისაც სურს განმტკიცდეს ჩვენს ერში საღი სული და გონება და უზრუნველვყოთ ჩვენი თავისუფლება—შეიძენს ლატარიის ბილეთებს და მით ხელს შეუწყობს მშრომელი ხალხის კულტურული აღორძინების დიად საქმეს.

ეს მოვალეობაა შეგნებული მოქალაქის და კულტურული ადამიანის...

პრესა.

გაზეთი „Грузія" ეხება საერობო არჩევნებს და სხვათა შორის სწერს:

„ეროვნულ-დემოკრატების ქართულ პარტიას, მაგალითად, სრულებით არ მიუღია მონაწილეობა საერობო არჩევნებში.

მან იმის მაგიერ, რომ დაეგზავნა თავისი წარმომადგენლები სოფლად საერობო არჩევნების ხელმძღვანელობის გასაწევად, შეიტანა ქართულ პარლამენტში განცხადება გადაედვათ არჩევნები მაშინ არსებულ ანარქიის გამო.

მათი წინადადება სოციალისტურ პარტიების მიერ უარყოფილ იქმნა და არჩევნები მოხდა დანიშნულ დროზე".

ეს, როგორც მკითხველმა იცის, მტკნარი სიცრუეა. ეროვნულ დემოკრატებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში, მაგრამ სასტიკად დამარცხდენ. გაზეთი „Грузія" გუშინ დაიბადა და ალბათ ამიტ აიხსნება, რომ მას არ ახსოვს ჩვენი—თუნდაც იმ კვირის—ისტორია.

გაზეთი აშკარა ფაქტს უარყოფს, მაგრამ არა უშავს—მცირე წლოვანს ეპატიება!

ჩვენი მშრომელი ხალხი

ჩვენი მშრომელი დემოკრატია ითვლე ბოდა და ითვლება რევოლიუციონურ ლაშქარის ავანგარდათ. დიდი როლი ითამაშა 1905 წ. რევოლიუციაში. ღებულობდა თვალსაჩინო მონაწილეობას თვისი საუკეთესო შვილების სახით წინა მოძრაობებშიც იშვიათია ისეთი დიდი პროცესი, რომ ქართველი არ ერიოს შიგ.ბევრმა კატორღა-ციმბირში დალია სული. ჩვენ რევოლიუციონერებით თავი ვისახელეთ და ბევრის ყურადღება მივიქციეთ. რუსეთის შავ ძალებს ჩვენგან მოსვენება არ ქონდათ და ისინიც ჩვენ ჯარსებობას ვერ ურიგდებოდნენ: ამიტომ რუსეთის ბიუროკრატიამ ჩვენ მიზანში ამოგვიღო და ყოველი საშუალებით ჩვენს განადგურებას სცდილობდა. საქართველოში ყველაზე უფრო რევოლიუციონური კუთხე გურიაა. ამიტომ რეაქციის მახვილი უფრო მისკენ იყო მომართული. ვის არ ახსოვს ის განსაკუთრებული დამსჯელი რაზმები, რომლებიც გურიაში იგზავნებოდა დავალებით, რომ სულ ერთიანად აღეგავათ დედამიწის პირიდან ეს ურჩი ხალხი. ბევრათ არც იმერეთი ჩამორჩა გურიას თვისი რევოლიუციონერობით. ამასაც ბევრი გადახდა ამის გამო რეაქციისაგან. დაწვა, აწიოკება, გაუპატიურება—ჩვეულებრივი მოვლენა იყო იმ შავბნელ ხანაში. ასე თავგამოდებით იბრძოდა ჩვენი ხალხი თავისუფლებისათვის. აქ მე მინდა დავსვა კითხვა—მოკმედობდა ის შეგნებით, ჰქონდა მას სათანადო გაგება თავისი ნაბიჯების? ეს კითხვა პირველი შეხედვით თითქოს უადგილოა: რადგან იტყვის მკითხველი, ხალხი თავგანწირვით გამოდიოდა და არავითარ განსაცდელს არ ერიდებოდა, ეს იმის მომასწავებელია რომ მას ღრმათ შეგნებული ქონდა თვისი მოქმედების მიზნები და ხასიათი. ეს ასე არ არის. ამ აზრს მრავალი ფაქტები ასაბუთებენ. ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა ყველა არჩევნებში სოც. დემოკრატებს აძლევდა ხმას, ხალხი „მუშათა პარტიის" გარდა არავის ცნობდა. სანამ სოციალ დემოკრატიას არ ქონდა საშუალება პრაქტიკული ნაბიჯი გადაედგა და საპასუხისმგებლო პოლიტიკა ეწარმოებია, ხალხიც მას ნდობით უყურებდა, რადგან მისი სახე ვერ გამოერკვია.

მშრომელმა გლეხობამ სოც.-დემ. მოძღვრება არ იცოდა. ამას თვით სოც. დემოკრატებმა შეუწყვეს ხელი. დადებით მუშაობას ისინი ხალხში არ ეწეოდენ. დაირქვეს სახელათ „მუშათა პარტია" და ამ სახელწოდებით მოხიბლეს ხალხი. ხალხი სულ უბრალოთ მსჯელობდა: სოც დემოკრატია მუშათა პარტიაა ჩვენ მუშები ვართ, მაშ, ს.-დ. ჩვენი პარტიაა. ხალხი გრძნობდა თვის გაჭირვებულ მდგომარეობას, გრძნობდა აგრეთვე რომ მდგომარეობა უნდა შეცვლილიყო და თუ ვინმე ამ შემთხვევაში მათზე იზრუნებდა—ეს იქნებოდა მხოლოთ მუშათა პარტია და არა სხვა. ხალხს სამართლიანად არ სწამდა არაფერი ბურჟუაზიული პარტიების. ასე, მშრომელი ხალხი ჭნდობოდა სოციალ-დემოკრატიას და მას როგორც „მუშათა პარტიას" თავის პარტიათ სთვლიდა. ჩვენმა გლეხობამ სრულებით არ იცოდა, რომ მას განწირულათ სთვლის სოც.-დემოკრატია და რომ უკანასკნელი მხოლოთ ქალაქის მუშების პარტიაა და მაზე ეყრდნობა. ეს გარემოება ჩვენმა მშრომელმა გლეხობამ არ იცოდა და თვით სოც-დემოკრატებიც მოხერხებულათ უმალავდენ გლეხებს თვის ნამდვილ სახეს, ერთ თვის წიგნში ცნობილი ლიდერი სოც.-დემოკრატიისა ნ. ჟორდანია აშკარათ ამბობს: ჩვენ რომ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა გვეწარმოებია და ჩვენი ნამდვილი სახე გლეხობისთვის დაგვენახებია—ჩვენ ის არ გამოგვყვებოდაო.

ამგვარათ სოც.-დემოკრატია გაბატონებული პარტია იყო ჩვენში, მან მიიმხრო ჩვენი მშრომელი ხალხის დიდი უმრავლესობა და დაუხშო მას საშუალება საქმის ნამდვილი ვითარების გაგების. ამიტომ ხალხი გაყვა სოც.-დემოკრატიას შეგნებით კი არა ნდობით, ყველას მოეხსენება თუ როგორ მიმდინარეობდა ჩვენში პარტიული „მუშაობა". მოუყრიდენ ხალხს თავს, გამოვიდოდა ს-დ, პროპაგანდისტი დაიწყებდა დემაგოგიას, ილაპარაკებდა იმას კი არა, რაც უნდა ეთქვა როგორც ს.-დ. არა იმას რაც ხალხს ესიამოვნებოდა, დაპირდებოდა მას ოქროს მთებს, რძის ღელეებს, ერთი სიტყვით ფეხათ გაკეთებას, ხალხიც „გაუმარჯოს" ძახილით უპასუხებდა სხვა პარტიის წარმომადგენელს იშვიათათ მისცემდენ ლაპარაკის უფლებას, და თუ მისცემდენ ტრიბუნიდან მალე ჩამოაგდებდენ, როგორც არა მუშათა პარტიის წარმომადგენელს. სხვა პარტიის პროპაგანდისტების დამტუქსველნი თვით სოც.-დემ. პროპაგანდისტები იყვნენ. ჩამოაგდებდენ რა ტრიბუნიდან მოპირდაპირეთ, თვით დაიკავებდენ ამ ტრიბუნას და ხალხს უკანასკნელათ მიმართავდენ დემოგოგიით. ხალხის გონება იწამლებოდა. მას ვერ გაერკვია ნამდვილი გზა. რაც სოც.-დემოკრატების პროპაგანდისტები ეტყოდენ,—ყველაფერი ბრმათ სწამდათ. მშრომელმა გლეხობამ, რასაკვირველია, სრულებით არ იცოდა, რომ სოც.-დემოკრატების პროგრამა გლეხური არაა. სწორეთ ამ გაუგებრობით აიხსნება ის ანორმალობა, რომელსაც წარმომადგენლობაში აქვს ადგილი. ხალხი ირჩევს სოც.-დემოკრატებს, მათ ანდობს თვის ბედს; ასე იქცევა როდესაც არჩევნებზეა საქმე, მაგრამ შემდეგ არჩეულების პოლიტიკა არ მოსწონს და მის წინააღმდეგ ჯანყდება. ეს აიხსნება როგორც ვსთქვით, იმით, რომ როდესაც მშრომელი გლეხობა ირჩევს ს.-დ. წარმომადგენელს მას გონია, რომ არჩეულები გლეხურ პოლიტიკას აწარმოებენ და როდესაც სინამდვილეში ამას ვეღარ ხედვენ თვის არჩეულებზე გული უცრუვდებათ და მის წინააღმდეგ იარაღით გამოდის. არაფერს ამის მსგავს არ ჭქნებოდა ადგილი, რომ ხალხში სოც.-დემ. თავისუფალი პროპაგანდა დაეშვათ და ხალხს მისცემოდა საშუალება რწმენით, ნდობით კი არა, შეგნებით და გაგებით გაყოლოდა ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიას. მაშინ ხალხის არჩეულები არ იქნებოდენ უბრალო მექანიური წარმომადგენლები, ერამდე ამომრჩევლების სულისკვეთების გამომხატველი და აღგილი აღარ ექნებოდა იმ ანორმალობას, რომელსაც დღეს ჩვენში ვხედავთ: ხალხი ჯერ ირჩევს წარმომადგენლებს და შემდეგ მის წინააღმდეგ იარაღით ილაშქრებს. ყოველი არა გულწრფელი მუშაობა ისეთ უარყოფით შედეგებს მოგვცემს, როგორითაც დაგვჯილდოვა სოც.-დემ. საჭიროა ხალხში დადებითი და სისტემატიური მუშაობა, რომ ის მოვამზადოთ ახალი დიდი ცხოვრებისათვის. ეხლა ყველასათვის თვალსაჩინო შეიქნა, რომ ძველი გზა ხალხში მუშაობისა საზიფათოა. უნდა მიეცეს ფართო ადგილი თავისუფალ კრიტიკას, თავისუფალ აზროვნებას, რაც, სამწუხაროთ, დღემდე ფანატიკოსების მეოხებით აკრძალულია. ჩვენ ხალხში დიდი ძალებია ჩამარხული და ჩვენი მოვალეობაა ხელი შეუწყოთ ხალხის ენერგიის მიზანშეწონილათ ხარჯვას. ეს კი შესაძლებელია თუ უკუვაგდებთ დემაგოგიას და შეუდგებით დადებით შემოქმედებით მუშაობას.

იხ.

რუსეთის დემოკრატიის ტრაღედია.

როგორც ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტოს ცნობებიდან სჩანს, რუსეთში დღეს მეტად მნიშვნელოვანი ამბები ხდება. დასჭრეს ბოლშევიკების სულის ჩამდგმელი და მთავარი იდეოლოგი ულიანოვი-ლენინი. ამ ფაქტს მეტად დიდი ღირებულება აქვს, რადგანაც იგი მოასწავებს ახალ ეპოქას, ახალ განწყობილებათა შექმნას რევოლიუციონურ რუსეთის ისტორიაში.

ამასთან ერთად ეს ამბავი ძალიან დამაფიქრებელიც არის. აქ უკვე გარკვევით მოსჩანს, რომ დემოკრატიის ნაწილები ერთი მეორეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უცხადებენ და იარაღით ხელში ცდილობენ თავის მიზნების განხორციელებას. ყოველ შეგნებულ სოციალისტს და გულწრფელ ინტერნაციონალისტს ეს გარემოება უთუოდ ძალიან დააღონებს.

ჩვენთვის ერთი რამ აშკარაა. ის ბრძოლა, რომელიც დღეს რუსეთში დაიწყო უსათუოდ დაასუსტებს რუსეთის დემოკრატიას და საგრძნობლათ შეაჩერებს მისი იდეალების პრაქტიკულათ განხორციელების საქმეს. გადავხედოთ ოდნავ თუ რამ გამოიწვია რუსეთის დემოკრატიის დღევანდელი ვითარება და რა შედეგები შეიძლება მოყვეს რუსეთში ახლათ დაწყებულ ბრძოლას.

დღეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბოლშევიკური გადატრიალება რუსეთში ემყარებოდა სოციალურად დაუკმაყოფილებელ მშრომელ ხალხს, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თეორეტიული ბოლშევიზმი სოციალური მიმდინარეობა იყო. იგი მოითხოვდა სულ მოკლე დროში ობიექტიურ პირობათა მიუხედავათ სოციალისტურ წყობილებაში გადასვლას. მაგრამ მისი პრაქტიკულათ განხორციელების საქმე ისეთ უხერხ და მიუღებელ ფორმებში გამოხატა, რომ მისი აღიარება სხვა სალათ მოაზროვნე სოციალისტებს არ შეეძლოთ. ბოლშევიზმის ტრაგედია სწორეთ იმაში იყო, რომ არსებულ სახელმწიფოებრივ-სამეურნეო პირობებში და მშრომელი ხალხის შეგნება, მომზადება შეუძლებელს ყოფდა დასახულ მიზნების განხორციელებას. ბოლშევიზმი თავიდანვე ძალადობას დაემყარა, მან ავანტიურისტული ხასიათი მიიღო.

ბოლშევიკებმა კანონს გარეშე გამოაცხადეს ყველა ისინი, ვინც არ იზიარებდა მათ ტაკტიკას. ამ რიგათ, მოხდა რუსეთის სოციალისტურ ჯგუფების გათიშვა. ბოლშევიკებმა ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს. სხვა სოციალისტური პარტიები ჩამოშორდენ ისტორიულ ასპარეზს. ბოლშევიკებმა იწყეს მოქმედება. მაგრამ, სწორეთ პრაქტიკულ საქმიანობაში მათ განიცადეს მთელი რიგი საშინელ დამარცხებისა. ბოლშევიკებმა ვერ განახორციელეს ვერც ერთი დიდი რეფორმა. ბოლშევიკებმა შეკრეს გერმანიასთან სამარცხვინო, რუსეთისთვის დამღუპველი ზავი. მათი ბატონობის დროს ანარქიამ მოიცვა მთელი რუსეთი. რუსეთი დაქუცმაცდა, დანაწილდა მრავალ დამოუკიდებელ ერთეულებათ. მასთან ერთად დაქუცმაცდა და დაუძლურდა მშრომელი დემოკრატიაც. ამით ისარგებლა გერმანიამ და თავისი კლანჭები მაგრათ ჩაჰკიდა გაპარტახებულ რუსეთს.

რუსეთი, როგორც სახელმწიფო, მოკვდა. რევოლიუციონური რუსეთის დიადი ლოზუნგებიც დავიწყებას მიეცა. საშინელი ტრაგედია განიცადა რუსეთის მშრომელმა ხალხმა. ის გაყვა ბოლშევიზმს იმ იმედით, რომ შექმნიდა ცხოვრების საუკეთესო პირობებს, მაგრამ მისი მოლოდინი გაცრუვდა და მას შერჩა ხელში გაძვალტყავებული რუსეთი და დიადი ლოზუნგების მარტო მოგონებანი. რომ ბოლშევიზმი გაკოტრდებოდა და დაღუპავდა რუსეთს, ეს იცოდენ რუსეთის სხვა სოციალისტურმა პარტიებმა. მაგრამ ისინი თავიდანვე ვერ გამოვიდენ ბოლშევიკების წინააღმდეგ და ვერ დაიწყეს მათთან ბრძოლა რადგან ეს იქნებოდა დემოკრატიის ნაწილების ერთი მეორესთან შეჯახება. ეს გამოიწვევდა ძმათა შორის სისხლის ღვრას. ეს იქნებოდა საშინელი დანაშაული დემოკრატიის წინაშე.

დემოკრატია ამ შემთხვევაში თავისივე სისხლში ჩაიხრჩობოდა, ის დაკარგავდა ყოველივე ძალას და ამას მოყვებოდა ბურჟუაზიის გამარჯვება და დღესასწაული.

ამ მოსაზრებით სხვა სოციალისტური პარტიები განზე გადგენ, და ცდილობდენ იდეიური ბრძოლით და პროპაგანდით გამოეხიზღლებია მეტანათ ბოლშევიზმით გატაცებულ ხალხში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ბრძოლის ეს კულტურული საშუალებაც მოუსპეს თავის მოწინააღმდეგეებს ბოლშევიკებმა.

ბოლშევიკებმა თავის მოქმედებაში შეიტანეს ასეთი იმპერატივი: „нраву моему не препятствуй".

ბოლოს და ბოლოს აუტანელი პირობები შეიქმნა რუსეთში. დაიღუპა რუსეთი როგორც სახელმწიფო, დაიღუპა და გაქრა აგრეთვე რევოლიუციონური აღტყინება. ეს კი მოასწავებდა არა მარტო რუსეთის დემოკრატიის, არამედ საერთაშორისო დემოკრატიის დამარცხებასაც.

რა თქმა უნდა ამის ატანა და მოთმენა გულწრფელი სოციალისტებისათვის და რუსი პატრიოტებისათვის შეუძლებელი იყო. კითხვა ასე იყო დასმული, რუსეთი დაღუპეს ბოლშევიკებმა და რაც დრო გადის უფრო და უფრო აუარესებენ მის მდგომარეობას, არის თუ არა ასეთ პირობებში დასაშვები ყოველი ხომა ბოლშევიკების ასალაგმავათ.

ამ კითხვაზე ბოლშევიზმის გავლენის გარეთ დარჩენილმა ჯგუფებმა დადებითათ უპასუხეს.

და მოხდა საშინელი გაუგებრობა. რუსეთში ორი ძალა დაუპირდაპირდა ერთი მეორეს: ერთის მხრით ბოლშევიკები იმპერიალისტურ გერმანიასთან ერთად, მეორეს მხრით კი რუსეთის სხვა პარტიები მემარცხენეებიდან დაწყებული კადეტებამდე და მათთან ერთად იმპერიალისტური ინგლისი და ძმანი მისნი.

შეიქმნა საოცარი ალიანსები. ჩვენს ალიანსები გვაინტერესებს იმდენათ, რამდენათაც ის ვნებას თუ სარგებლობას მოუტანს მშრომელ დემოკრატიას.

ერთი რამ ცხადია: ბოლშევიკების კავშირი გერმანიასთან ნიშნავს რევოლიუციონური სულის ჩაქრობას, რევოლიუციონური საქმიანობის უკუგდებას. ბოლშევიკები ამ შემთხვევაში იცავენ მხოლოთ თავის ბატონობას და მხედველობაში არ იღებენ. არა თუ საკუთარ დემოკრატიის—არამედ საერთაშორისო დემოკრატიის ინტერესებსაც.

მეორეს მხრით ესერების თანამშრომლობა კადეტებთან და რუსეთის ყოფილ მოკავშირეებთან აგრეთვე მოასწავებს რევოლიუციონური იდეალების განზე გადადებას. მთავარი მიზანი, რომელიც აერთებს ერთ კოალიციაში ამ განსხვავებულ ჯგუფებს—ეს არის რუსეთის აღდგენა.

ორივე შემთხვევაში რევოლიუციონური რუსეთი ბევრს კარგავს.

მაგრამ ამას გარდა არის კიდევ ერთი გარემოება, რომელსაც უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ბოლშევიკებს ჯერ-ჯერობით კიდევ მოყვება მშრომელთა მასები. მათი მოწინააღმდეგე სოციალისტურ პარტიების გარშემოც შემოკრებილია მშრომელთა ხალხის საგრძნობი ძალები, ასე რომ, აქ შეტაკება და ბრძოლა ხდება მშრომელთა შორის. ეს ბრძოლა, როგორც სჩანს, მიუღებელ ფორმებს ღებულობს. ამას მოწმობს ლენინის დაჭრა და სხვა. იმპერიალისტური სახელმწიფოები სარგებლობენ რუსეთის მშრომელთა მასების გათიშვით, და მათ ტრაღედიაზე აწარმოებენ სპეკულიაციას. რუსეთის დემოკრატიის ნაწილების ერთი მეორის წინააღმდეგ ამხედრება მოასწავებს რუსეთის მშრომელ დემოკრატიის დამარცხებას. დაქუცმაცებულ დემოკრატიას გაურთიანება არ მოახერხდა. რუსეთის შინაური ცხოვრების მოწესრიგებას შეუდგენ გარეშე სახელმწიფოები. ისინი, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ თავის ინტერესებისათვის გამოიყენებენ რუსეთში შექმნილ მდგომარეობას.

რუსეთი კვლავ განიცდის საშინელ ტრაღედიას. მშრომელი ხალხი სისხლისაგან იცლება. მის დაუძლურებასთან ერთად უძლურდება და იღუპება რევოლიუციონური სულისკვეთებაც.

Anopheles.

ერთნული დემოკრატები და სოფელი.

ამნაირად ჩვენ დავინახეთ, რომ ეროვნული დემოკრატები ბრუნავენ არა მიწის მუშებისათვის, არამედ მდიდარ და შეძლებულ კლასებისათვის. მიწის საკითხს ისინი არ ჰრიან მიწის მუშების სასარგებლოთ. ისინი ცდილობენ შექმნან ისეთი ნივთიერი ურთიერთობანი, რომ განამტკიცონ ბურჟუაზიული ცხოვრების საძირკველი და უზრუნველჰყონ შეძლებული კლასის პოლიტიკური ბატონობა. დღეს ეროვნული დემოკრატები ჩვენს სოფლებშიც გამოდიან და ხალხს არწმუნებენ, რომ თუ ისინი სახელმწიფოს სათავეში მოექცენ, მაშინ ყველაფერი კარგათ წავა. ეს ჩვეულებრივი ხრიკია, რომლითაც მათ სურთ მშრომელი მასა შეცდომაში შეიყვანონ. მართლაც, ვსთქვათ, რომ ჩვენში ხალხმა ეროვნული დემოკრატები აირჩია, თუმცა, როგორც საერობო არჩევნებმა დაამტკიცა, ეროვნულ-დემოკრატების მდგომარეობა უნუგეშოა. მათ საშართლიანოთ არ ჯარება მშრომელი სოფელი. მათ მხარს უპერს მხოლოდ ქალაქის მგშჩანობა და ვაჭარ სპეკულიანტთა გროვა, მაგრამ მაინც ვსთქვათ, რომ მოხდა სასწაული და ჩვენი რესპუბლიკის სათავეში ეროვნული დემოკრატები მოექცენ—რა გორი შედეგები ექნებოდა ამას მშრომელი ხალხისათვის? ამაზე საუკეთესო პასუხს იძლევა ერ.-დემ. თანამოძმეთა და თანამოაზრეთა მოქმედება უკრაინაში, ფინლიანდიაში და სხვ. რუსეთელი ეროვ. დემოკრატები—კადეტები რევოლიუციის პირველ ხანებში თავის თავს რესპუბლიკანელებად აცხადებდენ. ისინი მთელს რუსეთს არწმუნებდენ: ჩვენ ყველას ინტერესებს ვიცავთ, ჩვენი პარტია ერთად ერთი პარტიაა, რომელიც ყველა კლასების ინტერესებზე ზრუნავს და ყველგან სამართლიანობას მოითხოვსო. გვგონებოდათ, რომ ესენი მართლაც ჰეშმარიტი მამულიშვილები იყვენ.

სინამდვილემ ულმობელათ გამოამჟღავნა კადეტების ნამდვილი სახე და ბუნება. როგორც კი დრო იხელთეს ეროვნულ დემოკრატებმა უკრაინაში სახელმწიფოებრივი გადატრიალება მოახდინეს, დაშალეს დემოკრატიული ორგანოები, სასტიკი დევნა დაუწყეს მუშათა ორგანიზაციებს. როგორც კი სახელმწიფოებრივი ძალა უფლება ხელში ჩაიგდეს. უმალვე დაავიწყეს თავისი დემოკრატიული დაპირებანი და გუშინდელმა რესპუბლიკანელებმა თვითმპყრობელობა აღადგინეს!..

ვისაც სურს გაიგოს, თუ როგორი იქნება ეროვნული დემოკრატების მართვა-გამგეობა ჩვენში, ისინი რომ სათავეში მოექცენ, მან უნდა გადახედოს თუ რა ხდება უკრაინაში. სკოროპადსკის მთავრობა—ეს იგივე ეროვნული დემოკრატების მთავრობაა, იმ განსხვავებით, რომ სკოროპადსკი უკრაინაშია, ხოლო ჩვენებური ეროვნულ დემოკრატები კი საქართველოში. რაოდა ძალა უფლება შეევნარჩუნებინათ უკრაინის ეროვნულ დემოკრატებმა გაყიდეს თავის სამშობლო, მოიწვიეს გარეშე ძალები უკრაინის დემოკრატიის შესამუსრავათ, მის გასანადგურებლათ. გლეხობას წაართვეს უკანასკნელი პური და გადასცეს რევოლიუციის და თავისუფლების მტრებს. უკრაინის ეროვნულმა დემოკრატებმა მიწის მუშებს წაართვეს ის მიწები, რომლებიც მისცა სოფლის მშრომელ ხალხს დიდმა რევოლიუციამ. ეროვნული დემოკრატები უკრაინაში სდევნიან თავისუფალ სიტყვას, კრებებს და კავშირებს.

მშრომელმა გლეხობამ მათი ბატონობა ვერ აიტანა და მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გამოვიდა. მთელს უკრაინას აჯანყებათა ცეცხლი მოედო.

აი რა მოუყვა ეროვნულ დემოკრატების ბატონობას უკრაინაში, აი რა მოუტანეს მათ მშრომელ ხალხს!..

აქედან აშკარაა ყველასათვის, თუ რა დიდი უბედურება იქნებოდა ჩვენი ერისათვის რომ ჩვენში ეროვნულმა დემოკრატებმა ოდესმე გაიმარჯვონ!...

უსაფუძვლოა იმის მტკიცება თითქოს ჩვენში ეროვნული დემოკრატები უკეთესად მოიქცევიან, რომ აქ ისინი თავისუფლების მეტი მოყვარე იქნებიან, ვიდრე უკრაინაშია ან ფინლიანდიაში ეროვნული დემოკრატია ყველგან გაბატონებულ კლასებს იცავს, თუმცა სიტყვით მთელი ერის მოსარჩლეა, მთელი ერის დამცველია.

ცნობილია, რაც უფრო ჩამორჩენილია ბურჟუაზია, რომელიმე მხარეში, რაც უფრო განუვითარებელია მასში კაპიტალიზმი, მით უფრო რეაქციონურია ბურჟუაზია, მით უფრო რეაქციონურია მისი ინტერესების გამომხატველი პოლიტიკური პარტია. აქედან აშკარაა, რომ ჩვენი ეროვნული დემოკრატები, როგორც ეკონომიურად და პოლიტიკურად უფრო ჩამორჩენილი ბურჟუაზიის მესაიდუმლე და მებაირაღტრე, გაცილებით უფრო რეაქციონერები არიან, ვიდრე უკრაინის ან ფინლიანდიის ეროვნული დემოკრატები. ჩამორჩენილი ქვეყნების ბურჟუაზიის იდეალია კონსტიტუციონური მონარქია, რომელიც შესძლებს მშრომელი ხალხის დატუქსვას და შეძლებულ კლასების ინტერესების ღირსეულად დაცვას.

ამიტომ უსაფუძვლო არ იქნება ვსთქვათ, რომ თუ მოხერხებული დრო ნახეს, ეროვნულ დემოკრატებს არაფერი ექნებათ მონარქიის აღდგენის საწინააღმდეგო!..

ერთი სიტყვით, არც მიწა, არც თავისუფლება—აი რას ნიშნავს ეროვნული დემოკრატების გაბატონება. ამას გრძნობს ჩვენი მშრომელი გლეხობა და ამიტომაც არ აძლევს მათ თავის ხმებს.

სოფლელი.

ახალი ამბავი

ცეცხლი. 4 სექტემბერს დღის თერთმეტ საათზე ჩვენი რედაქციის ქალალდის საწყობს ცეცხლი გაუჩნდა. დაიწვა და გაფუჭდა 20,000 მ.-დე ღირებული ქალალდი. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა გამოურკვეველია.

— **ახალი ქვანახშირი.** ამ მოკლე ხანში სავაჭრო სამრეწველო სამინისტრო შეუდგება ახლათ აღმოჩენილ ქვა-ნახშირის დამუშავებას, ოჩემჩირის ახლო, ტყვარჩელის რაიონში. ნახშირი მკლევართა გამოანგარიშებით დიდძალია, დღეახლოვებით 13,5 მილიარდი ფუთი ამოვა.

— **სწავლის დაწყება.** ყველა თბილისის უმაღლეს და დაბალ სასწავლებლებში სწავლა წელს დაიწყება 20 ენკენისთვეს.

— **ქალაქთა დელეგატების ყრილობა.** ამერკავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობაზე თბილისის ქალ. საბჭომ დელეგატათ აირჩია ლომთათიძე, თარხანოვი, ჭიაბეროვი, ზაგანიანი და ამირხანიანი.

— **ჩვენი მეზობლები.** მეზობელ სახელმწიფოებთან დამოკიდებულების გამოსარკვევათ შესდგა სპეციალური თათბირი სომხეთის, ადერბეიჯანის და საქართველოს რესპუბლიკების წარმომადგენლების შინისტრ ივ. ნ. ლორთქიფანიძის თავმჯდომარეობით, განსახილველია მრავალი საყურადღებო საკითხი. თათბირს დაესწრენ გერმანიის, ოსმალთა და ავსტრიის დიპლომატიური წარმომადგენლები.

— **სახაზინო ფულის გატაცება.** 3 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, პირველ ქართულ დივიზიის საინტენდანტოს საქმის მწარმოებლის ბინიდან წაიღეს 25 ათასი მანეთი სახაზინო ფული, ბოროტმოქმედნი მიიმალენ.

— **გუშინ** დილის 8 საათზე ქალაქის საავათმყოფოში ხოლერით გარდაიცვალა გაზ. „კავკაზ"-ის რედაქტორი ა. ბელინსკი.

— **მთავრობის თავმჯდომარე** ნოე ჟორდანია 3 ენკენისთვეს დაბრუნდა თბილისში.

— **სასოფლო კომიხიამ** გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ხართიშვილი სოფ. ბადიაურში, სიღნაღის მაზრაში, თათრებსა და ქართველებს შორის მშვიდობიანობის დასამყარებლათ.

— **სახოფლო კომისიამ** დაადგინა: გაზეთები მიაწოდოს პროვინციებს, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც რკინის გზა არ არის, მაგ., დუშეთის მაზრაში.

— **„ბელიკლიუჩში"** წესიერების აღსადგენათ გერმანიის მისიამ გაგზავნა ჯარი ტყვიის მფრქვეველებით.

გარნიზონის უფროსმა სამხედრო მინისტრის ბრძანებით, დანიშნა კომისია, რომელიც ჩაიბარებს სამხედრო ტაძარის ქონებას. ძვირფასი ნივთები დაიბეჭდება დანარჩენი კი გადაეცემა შესანახად მოსამსახურეებს.

— **ნ. ქარცივაძე** აცნობებს სასოფლო კომისიას, რომ სართიჭალის რაიონში ხშირია არეულობა, კაცის კვლა და სხვ. არეულობას ჯარის კაცები ახდენენ. ადმინისტრაციამ ვერ შესძლო წესიერების დღგენა.

— **ბელიკლიუჩიდან** ცნობა მოვიდა, რომ იქ შესდგა სოფელ ვარხუნისა და ალქსეევკის დელეგეტთა სხდომა, სადაც დადგენილ იქმნა, რომ ამ სოფლების მცხოვრებლები თავის იარაღს ჩააბარებენ საგანგებო კომისიას. მცხოვრებლები სთხოვენ საქართველოს მთავრობას დახმარება გაუწიოს მათ, რადგანაც უკანასკნელ დროში მეტის მეტი ზარალი აქვთ მათ.

მთავრობაში

გაბრიელ ხუნდაძის მოხსენების თანახმათ მთავრობამ დაადგინა: ა) მიეცეს საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენელს რუსეთის მთავრობასთან გაბრიელ ხუნდაძეს რწმუნებულების ბარათი, ბ) თუ რუსეთის მთავრობა არ იცნობს ჩვენ წარმომადგენელს, არც საქართველოს მთავრობა იცნობს რუსეთის წარმომადგენელს საქართველოში;

გ) დაევალოს ხსენებულ ხუნდაძეს წარ მოუდგინოს მთავრობას შემდეგ სხდომისთვის რუსეთში ჩვენი წარმომადგენლობის შტატები და შესაფერი ბარათები.

ადერბეიჯანის წარმომადგენლებთან ხელშეკრულებაზე ბონების შესახებ მთავრობის საქმეთა მმართველის მოხსენების თანახმათ, მთავრობამ დაადგინა: მოწონებულ იქმნას ხელშეკრულების პროექტი იმ მუხლის გამოკლებით, სადაც ნათქვამია, რომ ბონების პასუხისმგებლობის განაწილების დროს ანგარიშში მიღებულ უნდა იქმნეს ხარჯები, რომლებიც გასწია სამივე სახელმწიფომ სხვა და სხვა საერთო დაწესებულებათა ლიკვიდაციისათვის.

გზათა მინისტრის მოხსენებით რკინის გზის მოსამსახურეთათვის ჯამაგირების მომატების შესახებ მთავრობამ დაადგინა: 1) საქართველოს რკინის-გზის ყველა მოსამსახურეთ და მუშებს მოემატოს, სიძვირის გამო, თვიურათ 240 მან. თითოს ამ წლის პირველი აგვისტოდან; 2) ყველა პრივილეგიები, რომლებიც მინიჭებული აქვთ რკინის გზის მოსამსახურეთ და მუშებს, დარჩეს უცვლელად, ხოლო პურის მიცემა ათ შაურად გარვანქა მათ მოესპობათ, 3) გამოცხადეს ხსენებულ მოსამსახურეთ და მუშებს, რომ მთავრობა მიიღებს ზომებს შეიძინოს პური და მისცეს მათ თავის ფასებში.

4) გაუხსნას გზათა სამინისტროს შესაფერი კრედიტი; 5) ეს დადგენილება წარედგინოს ეროვნულ საბჭოს კანონ-პროექტის სახით.

ომი.

ბერლინი. 3 ენკენისთვე. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტზე, კრონპრინც რუპრეხტის არმია. იპრის და ლბასზე შუა ბრძოლა ჩვენ სასარგებლოთ სწარმოებს. სკარპის და სომმას შუა ინგლისელები განაგრძობენ შეტევას. არრასის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლაში ახალ ძალების შემოყვანის გამო, მოწინააღმდეგემ შესძლო ჩვენი ხაზების აღება ეტენის ხაზზე. მოწინააღმდეგე შეეცადა რომ მოახლოვებოდა დიურის მაღლობებს მაგრამ არ მოხერხდა, ჩვენი რეზერვების შეტევის გამო.

მოწინააღმდეგეს შეტევები ბაპომის ორივე მხარეზე ჯავნოსნების საშუალებით ჩვენ მოვიგერიეთ სომის ჩდილოეთით ძლიერი ბრძოლების შემდეგ ჩვენ შევინარჩუნეთ მაღლობები სეილის აღმოსავლეთით. სომას და უაზეს შუა მხოლოდ არტილერიის მოქმედებაა. ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ ფრანგებმა, მაროკელების და ამერიკელების დივიზიებთან ერთად დაიწყეს შეტევა უაზეს და ენის შუა. მოწინააღმდეგეთა ტალღები, რომლებიც ცდილობდენ გაგრღვიათ ჩვენი ხაზი ელეტსკის დაბლობებიდან პიერემონტის და ფოლმბრეის მიმართულებით ჩვენმა ცეცხლმა გაფანტა.

ფრონტის ზოგიერთ ნაწილებში ჩვენი კონტრატაკებით მოწინააღმდეგე უკუვაგდეთ.

კუსიშატოს დასავლეთით და აღმოსავლეთით მოწინააღმდეგემ უკან დაახევია ჩვენ მოწინავე ნაწილებს. ელეტის და ენის შუა მოწინააღმდეგეს ძლიერი და განმეორებითი შეტევები უშედეგოთ ჩატარდა.

პარიზი. 3 ენკენისთვე. სამხედრო ცნობა, საფრანგეთის ჯარები გადავიდენ მდინარე სომაზე ნანკურტის მიმართულებით. სამხრეთით საფრანგეთის ჯარი გამაგრდა სოფ. ჩრდილოეთის არხის აღმოსავლეთით და ხელთ იგდო 200 ტყვე. ნუაიონიდან აღმოსავლეთით ფრანგებმა ახალი გამარჯვება ნახეს და მიაღწიეს ხოლვნს. ელგრას და ენის შუა ფრანგებმა წამოიყვანეს რამოდენიმე ასი ტყვე.

პატარა ფელეტონი.

ძროხები ეროვნულ საბჭოში.

ეროვნულ საბჭოში გაიხსნა ზოოლოგიის კურსები.

უკანასკნელ სხდომებზე ხშირათ ისმის სიტყვა:

— ხვადაგი, საქონელი, ძროხა, გოჭი, ცხვირი, კაცი და სხვ.

სამი ენკენისთვის სხდომა ამ მხრივ ისტორიული იყო. ძროხების და საერთოთ „ხვადაგის" გარშემო ისეთი კამათი გაიმართა, რომ თითქმის პრეზიდიუმს ხელიდან გაეცალა. კამათში მხურვალე მონაწილეობა მიიღო ს.-დ. და ნ.-ფ.

აქციებმა. პირველმა არსენიძის, მეო-
ვ. წერეთლის სახით.
სწორეთ ამ უკანასკნელმა კინაღამ გა-
წვია, კრიზისი, როცა სთქვა „ძრო-
“ და ოსიკო ბარათაშვილს თვალს არ
რებდა. ეს სიტყვა, სტენოგრამას თუ
ეჯერებათ ვ. წერეთელმა ბევრჯერ
მეორა და სულ მისჩერებოდა თავმ-
მარეს, მხოლოდ ერთხელ როცა
ნა სიტყვა „ხვადაგი“ პირდაპირ მია-
და თანამეფრაქციე ი. ლორთქიფანიძეს
ანაც თავი დაუქნია.
დვე ბევრ საყურადღებო ამბავს ქონ-
ადგილი საბჭოში, მაგრამ უდიდესი
ასტიკე, რომელიც საბჭომ დააკანონა
—
როხვაზე და საერთოდ „საქონელზე“
სენიძის ტერმინია) პასპორტის შე-
ება
ხეთა შორის, ალბათ ეს კანონი
ბეჭდება გაზ. „საქ. რესპუბლიკაში“
მკითხველი იქ ამჯერათ დაინახავს
რაშია საქმე.
ქ მე საილუსტრაციოთ მოვიყვან
ოდენიმე მუხლს.
მუხ. 7. ორი წლის ხარს ედება გან-
ლვრული გადასახადი.
მუხ. 3. ყოველ ძროხაზე, როცა მას
ი წელი შეუსრულდება, იხდიან
ოცენტებს.
მუხ. 5. 6—9 თვემდე გოჭს ედება
ადი.
ასეა სხვა მუხლები ვირიდან დაწყე-
ული ქათმამდე.
ასე, რომ თუ რაიმე „საქონელს“ ყი-
ელობ, უნდა იცოდე მისი წლოვანება
-ჯ წლისაა, სამის, თუ წლინახევრის.
ყოდვა შეუძლებელია.
ამ რიგათ კანონდება ახალი დაწეს-
ულების შემოღება—
იქნება:
ბედაგეულობის კომისარიატი—თუ ვ.
ერეთლის ტერმინია) პახპორტის შე-
ება
ხეთა შორის, ალბათ ეს კანონი
ბეჭდება გაზ. „საქ. რესპუბლიკაში“
მკითხველი იქ ამჯერათ დაინახავს
რაშია საქმე.
ქ მე საილუსტრაციოთ მოვიყვან
ოდენიმე მუხლს.
მუხ. 7. ორი წლის ხარს ედება გან-
ლვრული გადასახადი.
მუხ. 3. ყოველ ძროხაზე, როცა მას
ი წელი შეუსრულდება, იხდიან
ოცენტებს.
მუხ. 5. 6—9 თვემდე გოჭს ედება
ადი.
ასეა სხვა მუხლები ვირიდან დაწყე-
ული ქათმამდე.
ასე, რომ თუ რაიმე „საქონელს“ ყი-
ელობ, უნდა იცოდე მისი წლოვანება
-ჯ წლისაა, სამის, თუ წლინახევრის.
ყოდვა შეუძლებელია.
ამ რიგათ კანონდება ახალი დაწეს-
ულების შემოღება—
იქნება:
ბედაგეულობის კომისარიატი—თუ ვ.
ერეთლის ტერმინია) პახპორტის შე-
ება
ხეთა შორის, ალბათ ეს კანონი
ბეჭდება გაზ. „საქ. რესპუბლიკაში“
მკითხველი იქ ამჯერათ დაინახავს
რაშია საქმე.
ქ მე საილუსტრაციოთ მოვიყვან
ოდენიმე მუხლს.
მუხ. 7. ორი წლის ხარს ედება გან-
ლვრული გადასახადი.
მუხ. 3. ყოველ ძროხაზე, როცა მას
ი წელი შეუსრულდება, იხდიან
ოცენტებს.
მუხ. 5. 6—9 თვემდე გოჭს ედება
ადი.
ასეა სხვა მუხლები ვირიდან დაწყე-
ული ქათმამდე.
ასე, რომ თუ რაიმე „საქონელს“ ყი-
ელობ, უნდა იცოდე მისი წლოვანება
-ჯ წლისაა, სამის, თუ წლინახევრის.
ყოდვა შეუძლებელია.
ამ რიგათ კანონდება ახალი დაწეს-
ულების შემოღება—

თერგის ოლქში.

კომისარ პაშკოვსკისა და სახალხო ყრილობის წევრთა დახვრეტა.

31 აგვისტოს ვლადიკავკაზში მიღებული ცნობებით, სად. ხმეისკაზე კაზაკებმა დაიჭირეს ყველა სახლში მიშვავალი დეპუტატები და მათგან 10 კაცამდე მხეცურად დახვრიტეს. დახვრეტილთა შორის შემდეგი პირებია: სახალ: დეპ. საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე და მიწათმოქმედების კომისარი პაშკოვსკი, კისლოვოდსკის საბჭოს თავმჯდომარე ტოფულენევი, რკინის გზის კომისარი დოლობკო, ყრილობის დეპუტატი ხვიფიც ბლოკი (ქალი) და შემთხვევით თანამგზავრი 17 წლის ქალი ანნა ბლუმენტალი.

დანარჩენ დახვრეტილთა გვარები ჯერ გამოურკვეველია.

სად. ხმეისკაზე კაზაკებს ტყვეთა ჰყავთ კიდევ 40 დელეგატი.

ღენერლებისა და ოფიცრების დახვრეტა ვლადიკავკაზში.

თბილისში მოსულ ცნობების თანახმად ვლადიკავკაზში ბოლშევიკებსა და კაზაკებს შორის ბრძოლის დროს დახვრეტილია ათეული რუსის ოფიცრები და რამდენიმე გენერლები, რომლებიც რამდენიმე დღის წინად გავიდენ თბილისიდან, იმავე ცნობების მოხედვით, სხვებთან ერთად, ბოლშევიკების მიერ დახვრეტილია ღენერალი რუბენაუ. სულ დახვრეტილია ექვსი ღენერალი.

ქალი-მინისტრი.

ვენა. ვაშინგტონიდან იუწყებიან, რომ შეერთებულ შტატების მთავრობამ შრომის მინისტრად დანიშნა ქალი მერი ანდერსენი—ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი ქალების პროფესიონალური კავშირისა.

ახალი გამოგონება.

ლეიპციგი. პროფესორმა ლილიენფელდმა და ფიზიკოს კოხმა საკმაოდ გააუმჯობესეს რენტგენის აპარატი, რომელიც დიდი ძალის სხივებს იძლევა. ამ გაუმჯობესებას დიდ მნიშვნელობას აწერენ კიბოს აქიმობის დროს.

კლემანსოს განკარგულება.

გაზეთი „Daily Express“ პარიზიდან იუწყება: კლემანსომ გასცა ბრძანება რომ ყველა საფრანგეთის ჯარის კაცებმა შეისწავლონ ინგლისური ენა.

გელსინგფორსი, 3 ენკენისთვე. ფინლიანდიის ლანდტაგის მოწვევა უნდა მოხდეს ერთი კვირის განმავლობაში. ლანდტაგის მოწვევის შორი კვირის შემდეგ მოხდება მეფის არჩევა.

მოსკოვი, 2 ენკენისთვე. ლენინის მდგომარეობა მეტად სერიოზულია. დაახლოებით 3 დღის შემდეგ მოელიან კრიზისს. დაჭრილია მრავალი პირები, რომელთაც ბრალდებათ ლენინის დაჭრაში მონაწილეობის მიღება, დაჭრილი არიან აგრეთვე ვიაზმის ეპისკოპოსი მაკარი.

ოდესა. 3 ენკენისთვე. ოდესის ერთერთ განაპირა უბანში აფეთქდა ყოფილი რუსეთ-რუმინეთის საამუნიციო ბანკის პიროქსელინის 3 მალაზია შემთხვევით გადარჩა. ისინი რომ აფეთქებულიყვენ დაიღუპებოდა მთელი ქალაქი. არის ადამიანის მსხვერპლი. მუშაობას აფეთქების მსხვერპლების გადასარჩენად აწარ მოებენ ავსტრო-ვენგრული ჯარები, მთელ ქალაქში ფანჯრების მინები დატეხილია. აფეთქების მიზეზი გამოურკვეველია.

იდეალი საზოგადოებრივ განვითარებაში. *)

ყოველი სოციალური პროცესის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს მიზნიანობა. სოციალურ პროცესს აქვს თავისი აზრი, რომლისკენაც იგი მიისწრაფვის. ამ მხრივ სოციალური მოვლენა დიდათ განსხვავდება ბუნების მოვლენისაგან. უკანასკნელის განხილვის დროს არავის არ დაებადება კითხვა, თუ რისთვის, რა მიზნისათვის ხდება ეს პროცესი. მხოლოდ სრულებით აუცილებელია ეს კითხვა მაშინ, როდესაც ჩვენ ვეცნობით ამა თუ იმ სოციალურ პროცესს. საითკენ მიისწრაფვის საზოგადოება, რა არის მისი უკანასკნელი მიზანი? ამ კითხვას არ შეიძლება გვერდი აუაროთ სოციალურ სფეროში; ეს კითხვა თავის თავად გამომდინარეობს თვის პრობლემის ბუნებიდან. ამ მნიშვნელობით აღიარებენ, რომ კაცობრიობის ისტორია არ არის მხოლოდ ერთგვარი ევოლიუცია, იგი მუდმივ არის განსაზღვრულ სოციალურ მიზნისაკენ მისწრაფება.

რაში მდგომარეობს საზოგადოების განვითარების მიზანი? როგორი ხასიათი აქვს მას.

საერთო პასუხი ამ კითხვაზე ჩვენის აზრით შემდეგია: მიზანს შეადგენს ის სოციალური იდეალი, რომელიც დაუსახავს განსაზღვრულ ეპოქაში მის მოწინავე, პროგრესიულ ძალებს. იდეალის კონკრეტულ შინაარსის გამოკვლევა არ შეადგენს ამ წერილის მიზანს. ჩვენ აქ გვაინტერესებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი სოციალურ იდეალისა და მისი ამ მხრივ მნიშვნელობა.

როგორც მიზანი საზოგადოების, რომლის სამსახური შეადგენს ყოველი პიროვნების (განსაზღვრულ კლასში) მოქალაქობრივ მოვალეობას,—სოციალური იდეალი შეიცავს ერთ ნაირ სახომს საზოგადოებრივ მოვლენათა დასაფასებლათ. ამ მხრივ ყოველი სოციალური მოვლენა არის დადებითი ან უარყოფითი იდეალის თვალსაზრისით. სოციალური იდეალი არის განყენებული ცნება. იგი არ არსებობს, არ არსებულა და მხოლოდ მომავალში უნდა განხორციელდეს. მის შესახებ სრულებით არ შეიძლება ითქვას ის, რასაც ისტორიულ მატერიალიზმის წარმომადგენლები ამტკიცებენ, საზოგადოთ იდეურ მოვლენათა შესახებ; იგი არ არის პირდაპირი ნაყოფი ეკონომიურ ფაქტორისა, იგი არ არის შენობა ეკონომიურ საძირკველზე, იგი არ არის ფორმა მატერიისა, რადგანაც, როგორც ზემოთ ვთქვით იგი არ არსებულა და არ არსებობს ჯერ.

ჩვენ ადვილათ შეგვიძლია გავიზიაროთ ის აზრი, მაგალითად, რომ დღევანდელი სამართალი, როგორც ერთგვარი იდეური მოვლენა სრულებით დამოკიდებულია, ნაყოფია დღევანდელ ეკონომიურ პირობებისა; კერძო საკუთრების დამცველი სამართალი მხოლოდ ფორმაა დღევანდელ ბურჟუაზიულ წესწყობილებისა. ამავე დროს ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ამ ბურჟუაზიულ წესწყობილებიდან გამოვიყვანოთ ის პრინციპი, რომელიც ძირიანათ უარყოფს ამ წესწყობილებას. „საზოგადოების იდეალი, რომელიც წინ უძღვის მშრომელ ხალხს, და რომელსაც შორს გაუსწრია თანამედროვე ეკონომიურ ურთიერთობისათვის არ შეიძლება, სწორედ ამ მიზეზის გამო, ამ წესწყობილების ნაყოფათ ჩაითვალოს, ამბობს ვრცი რუსეთის მწერალთაგანი.

სოციალურ იდეალის დასახვა არის ერთგვარი სულიერი შემოქმედება, რომელზედაც, რასაკვირველია, თვისი გავლენა იქონია სხვადასხვა გარემო პირობებმა: ეკონომიურმა, მაგალითად, და სხვამ.

„პროგრესის თესლი იბადება პიროვნების ტვინში“, ამბობს რუსეთის გამოჩენილი სოციოლოგი, „მერე გადადის სხვების ტვინშიდაც და ამ გვარათ იქცევა საზოგადოებრივ ძალათ“.

სოციალურ მოტივის შინაარს, რასაკვირველია, პიროვნების და საზოგადოთ ხალხის ინტერესების დაცვა და მათი საბოლოოთ განხორციელება შეადგენს, მხოლოდ ინტერესი მოიპოვებს ძალას მაშინ, როდესაც იგი ეგოისტურ ხასიათს კარგავს, საზოგადოებრივ მოვალეობის განცდას უკავშირდება და იდეურ კათეგორიათ იქცევა.

ამნაირი გარდაქმნით აიხსნება ის გარემოება, რომ იდეის სამსახური ხანდახან აუცილებლათ ეწინააღმდეგება ეგოისტურ ინტერესებს, უარყოფს მას და კიდევაც მოითხოვს ამა თუ იმ მსხვერპლს. მართალია, იდეალის განხორციელებას ხალხის კეთილდღეობა აქვს სახეში, მაგრამ ეს მხოლოდ მომავალში. დღეს დღეობით-კი მას თან მოსდევს მხოლოდ ყოველ გვარი შევიწროება, ტანჯვა და სხვა გვარი პირადი უძლურება. აქედან ადვილი წარმოსადგენია, რომ ის პიროვნება, რომელიც განიცდის აქტიურათ თვის გულში კაცობრიობის იდეალს, ხადაც ჩნდება და იზრდება ეს საუცხოვო თვისება, განსაკუთრებულ რჩეულ პიროვნებათ უნდა ჩაითვალოს.

ზნეობრივი და გონებრივი განვითარება მას ხელს უწყობს, აძლევს საშუალებას, რომ მკაცრი კრიტიკის თვალით შეხედოს თანამედროვე ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებას, უკანასკნელმა გამოიწვიოს მის გულში პროტესტი და აიძულოს იგი თავისი ძალღონე მოახმაროს იმ წესწყობილების დანგრევას და მომავალი იდეალის განხორციელებას.

ამ მნიშვნელობით არის პიროვნება ჰ. ლავროვის აზრით „პროგრესის იარაღი, მაშინ როდესაც იგი არ არის განცალკავებული და პირიქით უკავშირებს თავის წადილს და ბრძოლას თვით მასას, ხალხს. ფართო მასა თანამედროვე პირობებში, მოკლებულია იმ იდეურ მომზადებას, შეგნებას რაიცა საჭიროა მომავლისათვის გონიერ და მიზან შეწონილ ბრძოლისთვის. დიდებული ვალი ხალხის გაცნობიერებისა, შეგნებისა, ბრძოლაში ხელმძღვანელობისა აწევს იმ კრიტიკულათ მოაზროვნე პირებს, რომელთაც თვის ზნეობრივ და გონებრივ მომზადებით შეუძლიათ ამ როლის შესრულება, რომელთაც შეიგნეს ხალხის მომავალი, საზოგადოებრივი იდეალი და ეხლა ის-ღა დარჩენიათ, რომ ხალხს გააცნონ იგი და იმასთან ერთათ მის განხორციელებას ემხახურონ.

სოციალური იდეალი ამ მხრივ სოციალურ პროცესის სულს შეადგენს, მის მსვლელობის შეგნებულ მოტივს, მის ცხოველ რევოლიუციონურ ძალას.

რუსეთის რევოლიუციის ისტორიაში ზემოთ მოხსენებულ როლის შესრულება იკისრა რუსეთის რევოლიუციონურმა ინტელიგენციამ.

ამ მხრივ რუსეთის ინტელიგენციას დაუფასებელი ღვაწლი მიუძღვის თავის ხალხის წინაშე.

ვრცი მისი ისტორიკოსი ამბობს, რომ რუსეთის ინტელიგენციის ისტორია გმირთა ისტორია არისო, და ეს აზრი სინამდვილესთან დაშორებული არ არის. უმეტეს ნაწილათ უზრუნველ ყოფილმა, ფუფუნებაში აღზდილმა მან შესძლო ყოველი პირადი ბედნიერების უარყოფა და მთელი თავისი ძალღონე მოანდომა ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლას; ვინ არ იცის რამდენი ტანჯვა და დევნა გამოსცადა მან თვის ეკლიან გზაზე. ხალხისადმი სიყვარული, მისი მომავლისათვის თავდავიწყებული სამსახური, რევოლიუციონური პათოსი—აი რა ახასიათებს რუსეთის ინტელიგენციის პსიხოლოგიას.

და ამ მხრივ ძნელათ თუ მოიპოვება დედა-მიწის ზურგზე ისეთი ინტელიგენცია, როგორიც ყოფილა რუსეთში.

რუსეთის ინტელიგენციამ შექმნა რუსეთის რევოლიუციონური იდეოლოგია.

ამ იდეოლოგიის შექმნაზე სხვა და სხვა ისტორიულმა პირობებმა იქონიეს გავლენა; მხოლოდ მომქმედი, ცოცხალი ძალა ამ პირობებში იყო იგივე ინტელიგენცია.

მეტად სასტიკ პირობებში ეწეოდა ინტელიგენცია რევოლიუციონურ შუშაობას, რუსეთში მართლაც, დიდი გმირობა იყო საჭირო ამ მუშაობისათვის. სამწუხაროთ, ეს უანგარო ღვაწლი, გმირული, თავგანწირული სამსახური ხალხისადმი, ჯეროვანათ ვერ დააფასა ხალხმა, მაშინ, როდესაც დადგა დრო ამ დაფასებისა. რუსეთის დიდი რევოლიუცია მოხდა. ერთბაშათ მიაღწია ხალხმა მას, რაზედაც ოცნებობდა მრავალი წლის განმავლობაში და სწორეთ ამ დროს, როდესაც საჭირო იყო მტკიცე, მჭიდრო კავშირი ხალხსა და მის ერთგულ ინტელიგენციის შორის, მათ შორის ერთნაირი გაუგებრობა ჩამოვარდა. ინტელიგენტმა, როგორც მოაზროვნე ელემენტმა, როგორც ზნეობრივმა ძალამ ყოველივე ფასი დაკარგა რუსეთის რევოლიუციის გამარჯვების ხანაში.

ხალხში მან დაკარგა ნდობა. ყველას კარგათ ახსოვს, თუ როგორი სახე მიიღო რუსეთში ინტელიგენციის დევნამ. იგი უნდა გათქვეფილიყო მასაში ყოველ მხრივ, გარეგნულათაც-კი, მას უნდა დაეკარგა თავისი სახე. იგი დემოგოგიურათ უნდა შეხვედროდა ხალხს, დაედასტურებია ყოველი მისი წადილი, და მხოლოდ ამ შემთხვევაში ინტელიგენტს შეეძლო ნდობა მოეპოვებია ხალხში, ამ სახით-კი იგი სრულებით კარგავდა თავის ნამდვილ დანიშნულებას და თვითონ ხდებოდა ხალხის უბრალო იარაღათ. ამ გვარათ იმ ინტელიგენციამ, რომელმაც თავისი დღენი შესწირა ხალხს, თავისი ბედი დაუკავშირა მის ბედს—უკანასკნელ დღეს მისგან უარყოფილი დარჩა.

მეტი ტრაღედია შეუძლებელია წარმოიდგინოს ადამიანმა. დევნა, და ყოველგვარი ტანჯვა ციხეებში, ცივ ქვეყნებში, სახჩობელაზე მეფის რეჟიმის დროს ვერ უტეხდა გულს რუსეთის ინტელიგენციას, რადგან მის მუდმივ ამხნევებდა მისი რევოლიუციონური რწმენა და მომავლისადმი იმედი, ეხლა-კი თავის რწმენის გამარჯვების დღეს—იგივე დევნა და ტანჯვა, არა მეფისაგან არამედ თვითონ ხალხისაგან. მართლაც რომ საშინელ ტრაღედიას წარმოადგენს. სამწუხაროთ ეს ტრაღედია, რომელსაც ყველაზედ უფრო საგრძნობლათ განიცდის რევოლიუციონური ინტელიგენცია—არის ტრაღედია მთელი ხალხისა. რუსეთის რევოლიუციის მოწინავე რაზმი იყო მისი რევოლიუციონური ინტელიგენცია, სული, სინდისი, გონება ამ რევოლიუციისა ხელთ ეპყრა იმავე ინტელიგენციას. უკანასკნელის უარყოფა ამიტომ რევოლიუციის მორალურათ დამარცხებას ნიშნავს.

აქედან ცხადია, რომ რევოლიუციის ღდგენისათვის საჭიროა აღდგენილ იქნას მისი მორალური ძალა; ეს კი ადრე თუ გვიან აუცილებელია, ვინაიდან საბოლოო სიკვდილი შეიძლება ცალკე პიროვნებისა და არა სოციალურ ორგანიზმისა, რომელიც შეუჩერებლათ მიისწრაფვის თვის უკანასკნელ მიზნისაკენ.

მარ. ჩ—ძე.

*) ამ საინტერესო საკითხზე რედაქცია თავის აზრს ცალკე გამოსთქვამს.

რედ.

რუსეთი.

ყაზანის აღება.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ქალ. ყაზანი ჩეხო-სლოვაკებმა დაიკავეს.

შეთანხმოება ჩეხო-სლოვაკებსა და მემარჯვენე ესერებს შორის.

კიევი. მოსკოვიდან მოსული ცნობების თანახმად დუტოველებსა, ჩეხო-სლოვაკებს და მემარჯვენე ესერებს შორის, სამარაში მოხდა სერიოზული . შეთანხმოება რუსეთში წეს-წყობილების დამყარების საკითხის შესახებ.

მუშების კონფერენცია.

ტულაში მოხდა ყველა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კონფერენცია, რომელზედაც ირჩეოდა საკითხი: დაუჭირონ თუ არა? საბჭოთა მთავრობას თუ არა? გადაწყდა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ იმათ, რომლებიც გაანთავისუფლეს მუშათა კლასს ბოლშევიკებისაგან.

ჯვრით მსვლელობა კრემლში.

მოსკოვის მონარქისტებმა 21 აგვისტოსათვის დანიშნეს საზეიმო მსვლელობა ჯვრით კრემლში, რათა შეევედრონ მოსკოვის წმინდანთ გასწმინდონ მოსკოვი ბოლშევიკებისაგან.

ერთვნული საბჭო.

(3 სექტ. სხდომა)

კრება გაიხსნა დღის 12 ნახევარ საათზე.

თავმჯდომარეობს ო. ბარათაშვილი. განსახილველია რამდენიმე კანონი, გადაცემული სარედაქციო კომისიაში.

შ. ამირაჯიბი. კითხულობს თბილისის უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტათ გადაკეთების კანონის საბოლოო რედაქციას. კანონი სარედაქციო შესწორებით მუხლობრივ განხილვის შემდეგ საბჭომ მიიღო და დაამტკიცა.

დამტკიცებულ იქნა აგრეთვე კანონი საკონელზე ნიხრის გადიდების შესახებ, რომლის საბოლოო რედაქცია წარმოად-

გინა რ. არსენიძემ; უნივერსიტეტის შტატების (შ. ამირაჯიბი) და პიათურის ქვაზე I კატეგორიის მომატება ფუთზე ქ. პიათურის სასარგებლოდ.

გრძელდება კამათი სახალხო განათლების სამინისტროს შტატების შესახებ. მომხსენებელია ცინცაძე

ცინცაძე. წარსულ სხდომაზე ამ საკითხის გარშემო ატყდა დიდი პრინციპიალური კამათი და ამ კამათმა, იმ შესწორებების გამო რომელიც წარმოადგინა ალ. ლომთათიძემ, მწვავე ხასიათი მიიღო.

ხსენებული შესწორებანი იყო უადგილო. კამათმაც ასეთი ხასიათი მიიღო. ვხლა ვცდები გავაცნო კრებას ჩვენი აზრი ამ საკითხზე და უპასუხო ზოგიერთ ორატორებს.

ის პრინციპი, რომ სკოლების მართვა გამგეობა უნდა გადავიდეს ერობებისა და თვითმმართველობების ხელში—ჩვენს კომისიაში მიღებულია. შესაძლებელია ეს პრინციპი ვერ გავატაროთ ვხლა, მაგრამ პრინციპი აღიარებულია და მის განხორციელებასაც შეუდგებით, შემდეგ ორატორი ვხება ორატორებს, რომელნიც ამ მოსაზრების წინააღმდეგ გამოვიდენ წარსულ კრებაზე და ამბობს, რომ ის მოსაზრება, თითქოს ს. დ.—ტია ამ საკითხში დოგმატიკოსობას იჩენდეს და სკოლის მართვაგამგეობის საქმის ერობებზე გადაცემას ძველი რუსეთის პრაქტიკიდან სესხულობდეს-არ არის მართალი, რადგან თავის თავათ პრინციპი თვითმმართველობებზე სკოლების გადაცემა საღი პრინციპია და მასში დემოკრატიზმი ფართოთ პოულობს თვის განსახიერებას ჩვენის ფიქრით—განაგრძობს ორატორი ისეთი ავტონომია, როგორსაც ა. ჯაჯანაშვილი ფიქრობს მიანიჭოს ჰედაგოგიურ პერსონალს, უფრო ააშენებს ზღუდეს საზოგადოებასა და მასწავლებელთ შორის და კასტიური სულის კვეთების განვითარების მეტს არას მოუტანს მასწავლებლობასო. მომხსენებლის აზრით განათლებულ ქვეყნების პრაქტიკა და თვით ჩვენი თბილისის თვითმართველობის მაგალითი იმის დამამტკიცებელია, რომ ერობები და თვითმართველობები უფრო კარგათ მოუვლიან სკოლას, ამისათვის ლომთათიძის შესწორება მიღებულ უნდა იქნესო.

იკითხება პროექტი მუხლობრივ.

ლომთათიძის შესწორება არ გადის კენჭის ყრის დროს. ამ რიგათ რჩება მეორე §—„განათლების მინისტრი არის მთავარი გამგე სამინისტროსი და მას ევალება ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა ყოველგვარ სკოლებისა.“

მუხლობრივ განხილვის დროს გადის ამხ. მ. ფაჩუაშვილის შესწორებარომლის ძალითაც კანონპროექტში ამოღებულ ანდა იქნეს მე 7§—ე. მე9§§—ზ და11§-ვ. დანარჩენში კანონი დამტკიცებულ აქნა

რასა სწერენ ჩვენზე?

უკრაინა და ამიერ კავკასია

ამასწინათ უკრაინაში ჩამთვიდა შორეული საქართველოს საელჩო. დელეგაციის მიზანია უკრაინიდან საქართველოში პურის გაზიდვა.

საქმე იმაშია, რომ ხურსათის საქმე ამიერკავკასიაში და კერძოთ საქართველოში დელეგაციის გამოსვლის დროს ნამდვილათ კატასტროფიული ყოფილა. საკუთარი პური მათ არასოდეს არ ყოფნიდათ. ჩრდილოეთ კავკასიამ კი პურის გაგზავნაზე საქართველოს უარი უთხრა. ცოტაოდენი იმედი ქონდათ თათრების ოლქების, მაგრამ განხეთქილებამ ეს იმედებიც ჩაშალა.

საქართველოს სატახტო ქალაქში—თბილისში შიმშილობამ იჩინა თავი და იმ ცნობებით, რომელიც მე ხელთა მაქვს თბილისში ყოველ დღიურათ კვდება შიმშილისაგან გადმოხვეწილთა 25 ბავშვი.

მთავრობამ და სასურსათო საქმის მცოდნე პირებმა თავისი ყურადღება უკრაინას მიაპყრეს, უკრაინაზეა ეხლა დამოკიდებული საქართველოს ხსნა. ხსნა იმ წესწყობილებიდან, რომელიც დამყარდა ერთნახევარ გუბერნიიდან შემდგარ სახელმწიფოში, რუსეთის ორიენტაციისგან მოწყვეტისა, ოსმალ—გერმანეთის, და ბოლოს წმინდა გერმანულ ორიენტაციის მილების შემდეგ. ჩხენკელის წასვლა ბერლინში, გვგეჭკორის სტამბოლში მოგზაურობა, რუსეთის ს. დემ. ჩამოშორება და ნახევრათ ოფიციალურ გაზეთ „ბორბას“ კურიოზი, რომელმაც მოხსნა სათაური „რ. ს. დ. მ. პ. და ამის მაგივრათ დასტოვა „ს. დ. მ. პ.“

—აი ის ეტაპები, რომელიც განვლო საქართველოს მმართველმა წრეებმა.

და ამას უნდამიე მატოს არა კეთილ განწყობილება და სიძულვილი ჩამოსულ ელემენტებისადმი და სხვა ეროვნების მუშებისადმი.

პურშია ხსნა. პურია მთავრობის სიმაგრე და სიმტკიცე და ამისათვის გაიგზავნა უკრაინაში დელეგაცია.

მისცემს პურს უკრაინა საქართველოს?

თბილისში გადასწყვიტეს რომ მისცემს თუთუნზე, ღვინოზე, მატყლზე და სხვა საგნებზე გადაცვლით. ეს გაცვლა ხელსაყრელი იქნება ორივე მხარეებისთვის.

მაგრამ...

აქ ვხედებით ახალი „მაგრამ“—ის მთელ რიგს პირველ ალაგას სდგას არა ოფიციალური უკრაინის დამოკიდებულება ამიერ-კავკასიასთან, საზოგადოთ და კერძოთ საქართველოსთან.. ეს არაოფიციალური უკრაინა ხშირათ აერთიანებს ორ ცნებას—კავკასიას და საქართველოს, ხალხებს და მთავრობებს, ერს და ცალკე პიროვნებას და გამოაქვთ უაბელაცოთ განაჩენი, კავკასიელები უკრაინელების მტრებია და მათ პური არ უნდა მიეცეს.

კავკასიიდან დაბრუნებული უკრაინელები აშკარათ არაკეთილ განწყობილი არიან ამ ქვეყნისადმი.

მათ სამშობლოში დაბრუნების დროს გადიტანეს დიდი წვალება და შეურაცყოფა: თბილისიდან ფოთამდე ისინი სახონლის ვაგონებით მოყავდათ. სადგურებზე არ აძლევდენ წყალს და უზარმაზარი ეშელონები 10 საათის სავალ გზას 2-3 დღეს გადიოდენ. ფოთში გემში ჩაჯდომამდე უკრაინელებმა ერთი კვირა ვაგონებში იცხოვრეს. ვაგრების თავგასულობა, ქალაქის თვით-მართველობის გულ-გრილობა, არ მოგვცეს უბრალოთ მოწმობაც კი, რომ ეშელონში ხოლერა არ არის და ამის გამო სევასტოპოლში ეშელონი მოხვდა ყაზარმულ კარანტინში და მგზნებრული „მშვიდობით“—ის მაგიერ უკრაინელები უგზავნიდენ კავკასიას წყევლა-კრულვას და კრებებზე გამოქონდათ დადგენილებანი=არც ერთი ლუკმა პური არ გაეგზავნათ იქ.

რასაკვირველია—ეს წვრილმანებია. პური ხაქართველოს უნდა მივსცეთ ჰუმანიტარულ და სხვა მოსაზრებებით. და პურს მისცემენ, მაგრამ ოფიციალურმა უკრაინამ უნდა მოითხოვოს, რომ ამიერკავკასიაში და კერძოთ საქართველოში უკრაინელების ცხოვრება და ქონება ხელუხლებელი და დაცული იყოს, რომ მათი ევაკუაცია მოხდეს უმტკივნეულოთ და წესიერით, თორემ იხე კეთილ შეზობლური განწყობილება შეუძლებელი და წარმოუდგენელია.

ვ. პავლოვიჩი.

„ოდესკაია მისლ“, 22 აგვისტო.

პროვინცია.

კახური (გურიანთის სახოგადოება). ეს სოფელი თათრების შემოსევის დროს ჩავარდა ცუდ მდგომარეობაში. თათრები და ზოგიერთ ნაძირალა ჩვენი ჯარის კაცები თავისუფლად თარეშობდენ. თითქმის არ გადარჩენილა ჰარუტყვ-ფრინველები-სურსათ-სანოვაგე-ბოსტნეულობა-ტანისამოსი, ოჯახის იარაღი, ავეჯეულობა და სხვა. მცხოვრებნი ამ სოფლის განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას ყოველ მხრივ, ამით ისარგებლეს ხალხის მტრებმა, ისინი ამბობენ ძველი მთავრობა რო ყოფილიყო თათრები ვერ დაგვარბევდა, სურსათ სანოვაგე ბევრი გვექნებოდა და სხვაო ამასთან აღსანიშნავია, რომ ფერისცვალობას, 6 მარიობისთვეს, ძველი სტილით, წვრვის შემდეგ ადგილობრივი მღვდელი მამა კ. არობ—ძე ჩამდგარი იყო ჯვრით ხელში ხალხში და ქადაგებდა: „როდესაც ხალხმა არ იწამეთ მღვდელი, სარწმუნოება დაკარგეთ და ახალი დაიწყეთ, მოვიდა ურწმუნო (თათრები) და გაანიავა სოფელი. მე მუდამ ვლოცულობდი მწამდა ყოველივე მამაბაბეული და ხომ ხედავთ ასე კარგათ ვართ“. კახურში მოძრაობაც შესუსტებულია, ძველი მომუშავეები და მცოდნე პირები აქ ნაკლებათ არიან. ერობის არჩევნები მოხდა 18 მარიობისთვეს ახალი სტილით. ხალხი დაიბარეს იმავე დღეს და მისცეს ბიულეტენი. არ ყოფილა თითქმის არავითარი აგიტაცია არც ერთმა არ იცის, ვინ აირჩიეს—ან რისთვის. აქაურ სამკითხველოში ნახავთ კგირაში ერთხელ ერთ ან ორ გაზეთს სხვა არაფერი, სკოლას ვერც კი ახსენებ ამ დროებით. საჭიროა მოწინავე მომუშავე ძალებმა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ყველა ამაებს.

„ვ. ბაისოშვილი“.

ტექნიკური ტერმინოლოგია.

(გაგრძელება)

„ желѣзный „ — რკინის.
„ чугунный „ — თუჯის
„ каменный „ — ქვის
„ цѣпной „ — ჯაჭვის
„ разводной „ — გასაშლელი, ასაღები
„ постоянный „ — მუდმივი.
„ подемный „ — ასაწევი.
„ плавучій „ — მცურავი
„ крытый „ — დახურული.

Мочевина—შარდივანი
Моченіе, мочка—ლბობა, დალბობა.
Мощеніе—მოკირწყვლა.
Мощность—ძალოვნობა.
Мрамор—მარმარილო
Мутность—სიმღვრივე.
Мутный—ღვრია.
Муть—ღვრეული.
Муфта—ქურო.
Мышьяк—მარგიმუშკი.
Мѣдь—სპილენძი.
Мѣрило—საზომი, სარწყავი.
Мѣшалка—სარევი.
Мѣшечек—პარკი.
Мятый пар—დაჟეჟილი ორთქლი გადამუშავებული.
Набор шестеренок - კბილოვანი თვლების შენაწყობი.
Нагрузка—დატვირთვა.
Нагрѣвательный сосудъ—სათბობი ჭურჭელი.
Надсмотрщикъ—მეთვალყურე.
Наждакъ—ზუმფარა.
Наковальня—გრდემლი.
Насосъ—ტუმბო.
Насыщеніе, пропитываніе—გაჟღენთა
Настройка—დანაშენი, დაშენება.
Натрій—ნატრიუმი
Гаучная почва—სამეცნიერო საფუძველი.
Напоръ—მოწოლა.
Напильникъ—ქლიბი.
Небѣленный—გაუთეთრებელი, გაუფერადებული.
Недодѣлка—მოუსრულებლობა.
Недостатокъ—ნაკლებობა, ნაკლი.
Недѣятельный—უმოქმედო
Нейтральный—ნეიტრალი.
Нейтральность—ნეიტრალობა.
Неплавкій—დაუდნობელი, გაუღობელი.
Нерастворимый—გაუხსნელი.
Неровность—უსწორობა.
Недвижимый—უძრავი.
Нефть—ნავთი.
Низменность—დაბლობი.
Никкель—ნიკელი.
Нормальная линія, нормаль—ნორმალი.
Нѣдро—გული, წიაღი.
Обжигъ—გამოწვა
Обжигальня—ქურხანა.
Обмазка—შემოგლესა.
Обмѣнъ—გაცვლა-გამოცვლა.
Оболочка—გარსი
Обсидіанъ—ცის-ნატეხი.
Обработка—დამუშავება.
Обратимый процессъ—მიმოქცეული, უკუქცეული პროცესი.
Огнеупорный матеріалъ—დაუწვავი მასალა.
Озеро—ტბა
Оживленіе—გაცხოველება.
Окись—ჟანგი.
Окисленіе—დაჟანგვა, დამჟავება.
Олово—კალა.
Ольха—თხმელა
Опора—საყრდნობი.
Опалить—გარუჯვა.
Опиливать—აქლიბვა.
Опрокинутый—ყირაზე დაყენებული, გადმობრუნებული
Опилка—ნახერხი.
Орошеніе—მორწყვა.
Осадокъ—ლექი, ნალექი.
Осадочный, отстойный бассейнъ—საღლექე აუზი.
Осина—ვერხვი.
Основной—ძირითადი.
Остатокъ—ნაშთი, ნარჩენი.
Ось—ღერძი.
Отборный—ანარჩევი.
Отдирать, откалывать—ახლეჩა.
Отвѣсъ—შვეული.
Открытая труба—პირახდილი მილი.
Отливка—ჩამოსხმა
Отмель мель,—შეჩეჩი, წალამული.
Отростокъ—ქიმი. ჯლა.
Отработанный паръ—გადამუშავებული ორთქლი
Отруби—ქატო
Отраженный—უკუქცეული
Оразительная сила—უკუქცევის ძალა.
Отстаиваніе—დალექა.
Отсѣчка—მოჭკვეთა.
Оттачивать—გალესვა
Отцѣживать—გაწურვა
Отцѣплять*)—მოხსნა, აშვება,
Отчетъ—ანგარიში,
Охлажденіе пара—ორთქლის გაცივება.
Охра—ოხრა
Очертаніе—მოხაზულობა
Очищеніе—გაწმენდა
„ окалины „ —ხვნჯის
„ воды „ — წყლის
„ металла „ —ლითონის გამობრძმედა, გახალასება.

(გაგრძელება იქნება)

მოწოდება.

საქართველომ დაიწყო თავის სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მისი მთავრობა ღირსეულად თავს გაართმევს ათას საჭირბოროტო საკითხებს, მაგრამ უმთავრესი მაინც თვით ხალხის დახმარებაა, მისი ნდობა, მის მიერ მხარის დაჭერა.

ბევრ სხვა საქმეთა შორის საქართველოს უმთავრესად საზრუნავი აქვს მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, ამ ორ ბურჯზე, რომელზედაც დაყრდნობილია კულტურულ ერის, სახელმწიფოს ცხოვრება.

ჩვენ გვაქვს უკვე ქართული უნივერსიტეტი, გვაქვს ქართული თეატრი, მათ შესახებ ზრუნავს მთავრობაც, მაგრამ ამ საქმეშიაც ხალხმა, ერმა თუ არ მიაწოდა თავის წვლილი ამ ფრიად საჭირო დაწესებულებას, ორივეს საქმე დიდათ შეფერხდება.

ამ ჟამად განზრახულია, რომ ორივე საქმისათვის მოწყობილ იქმნას მომგებიანი ხუთი მილიონის ლატარია, რომლის წმინდა შემოსავალიც მოხმარდება აღნიშნულ დაწესებულებათა აღორძინებას და სახელდობრ: ქართულ უნივერსიტეტს ნახევარი წმინდა მოგებისა ჩაერიცხება ხელუხლებელ თანხად, ნახევარიც გადადებულ იქნება ქართულ თეატრის ღირსეულ შენობის ასაგებად და 5 პროცენტიც წმინდა მოგებისა გადაიდება ქართველ მსახიობთა კავშირისათვის.

როგორც ხედავთ მიზანი ფრიად საჭირო და ხელ-შესაწყობია. მხოლოდ საჭიროა, რომ მთელი ქართველობა გამოეხმაუროს ამ საქმეს, შეიძინოს ლატარიის ბილეთები და ამით შეიკრიბოს განზრახული თანხა—ხუთი მილიონი.

ასეთი დიდი თანხის შეკრება კი არც ისე გაძნელდება, უკეთუ როგორც კერძო პიროვნებანი, ისე სხვადასხვა დაწესებულებანი—ბანკები, კოოპერატივები და სხვ.—ენერგიულათ მოჰკიდებენ ხელს ბილეთების გასაღებას. თვით ლატარიის პირობები შემდეგია.

ლატარიის უმთავრესი პირობანი:

1. გამოცემულია ორასი ათასი ბილეთი, ხუთი მილიონი მან. ღირებულებისა, ოთხას სერიად. ყოველ სერიაში ხუთასი ბილეთია. თითო ბილეთში ხუთი კუპონია. ბილეთების ღირებულება მაგ. ვაგონის.

*) მაგ. ვაგონის.

ვ. ქ.

2. მოგების დასაფარავად გადაბულია ნახევარი მილიონი მანეთი და მოგებათა რაოდენობა ნაწილებია ამ გვარად:

1 მოგება	100000	მან.		10000
1 „	50000	„		5000
1 „	25000	„		2500
2 „	10000	„		2000
3 „	5000	„		1500
5 „	1000	„		500
50 „	500	„		2500
180 „	250	„		4500
2150 „	100	„		2150

სულ 2393 მოგებიანი ბილეთი 5000

3. ბილეთის, ან კუპონის პატრონი ის არის, ვისაც ბილეთი, ან კუპონი ხელთ აქვს, არავითარი განცხადება ბილეთის ან კუპონის დაკარგვის სახებ შეწყნარებული არ იქნება.

4. ლატარია გათამაშებული იქნება 25 დეკემბერს 1918 წ. და ესწრებიან წარმომადგენელნი: ქართველოს ეროვნულ საბჭოს ამიერ-კავკასიის უმაღლესი მთავრობისა, თბილისის ქალაქის თვითმართველობისა, ერობისა, სახელმწიფოებრივი ამიერ-კავკასიის ბანკებისა; ლატარიის მომწყობი საბჭო და გამგეობა.

5. მოგების ნუსხა გამოცხადებული იქნება გაზეთში. ამის შემდეგ მოგების მისაღებად უნდა წარმოდგინონ ამიერ-კავკასიის ბანკში, თბილისში, თავიანთი ბილეთები, ან კუპონები მეპატრონეებმა; ხშირ მოგებას მიიღებენ არა უგვიანეს 30 დღისა.

6. ვინც მოგების ნუსხის გამოცხადების დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ წარმოადგენს თავის მოგებიან ბილეთს, ან კუპონს, ხშირი მოგება შემოწირულებად ჩაითვლება.

ამ გვარად მოუწოდებთ ყველა ვისთვისაც ძვირფასია ქართული უნივერსიტეტი და თეატრი შეიძინონ ლატარიის ბილეთები და ამით ხელი შეუწყონ ასეთ კულტურულ საქმეების აღორძინებას.

ლატარიის საბჭოს თავმჯდომარე დეკანი ქართულ უნივერსიტეტის პროფესორი ი ვ. ჯავახიშვილი.

საბჭოს წევრნი: ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ე. თაყაიშვილი და ი. ბარათაშვილი. ამიერ-კავკასიის ბანკის თავმჯდომარე ი. ლორთქიფანიძე. სამეურნო ბანკის თავმჯდომარე ვასილ ყიფიანი. დრამატიულ საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის ამხანაგი ნიკ. ერისთავი, ბელეტრისტი არისტო ჭუმბაძე. დამსახურებული მსახიობი ვალერიან გუნია, რეჟისორი ვალერიან შალიკაშვილი.

ლატარიის გამგეობის თავმჯდომარე, განათლების მინისტრი გიორგი ლასხიშვილი. ეროვნულ საბჭოს წევრი პეტრე ქავთარაძე, მსახიობთა კავშირის თავმჯდომარე შალვა დიანი. გამგე-დირექტორი სოლომონ ახვლედიანი. ბილეთების შეძენა შეიძლება: ქ. თბილისის ბანკებში, კასირებში და კლუბებში. პროვინციაში ყველგან, საკრედიტო დასწყობულებებში და კოოპერატივებში.

მისამართი: ქ. თბილისი, გოლოვინის პროსპექტი, №34. ლატარიის გამგეობას.

სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი— ცენტრალური კომიტეტი.

თბილისი, სტამბა ქართველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა, გოლოვინის ქუჩა № 26.